გამარჯვება მთელ გუნდს ეკუთვნის

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, 9 მარტი. მაყურებელი.

„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (მინსკი) 2:1 (0:0)

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, მიქაბერიძე, ჭედია, კუდინოვი, ჯოხაძე, კაკილაშვილი, სულაქველიძე, შენგელია, ცაავა (ჩელებაძე, 71) ... (გაზაევი, 71).

მინსკი: ჟეკუ, ბოროვსკი, რუმბუტისი, იანუშევსკი, ტრუხანი, დოზაროვი (ზიგმანტოვიჩი, 63), გოცმანოვი, კისტენი, ალეინიკოვი, გურიდისი (სიკოლი, 85), კონდრატიევი.

მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი)

გოლები: ალეინიკოვი (60), სულაქველიძე (78), გაზაევი (90)

გააფრთხილეს ალეინიკოვი.

მატჩის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე მინსკელებმა ეფექტურად გაითამაშეს საჯარიმო და ღვინიკოვმა ძლიერი, ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, თბილისელები მაინც მოიგებენ შეხვედრასო, ამას, ალბათ, არავინ დაიჯერებდა. არა იმიტომ, რომ ნახევარი საათი საკმარისი დრო არ არის ორი ბურთის გასატანად, არც იმიტომ, რომ მეტოქე გაცილებით ძლიერი ჩანდა. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი იყო დროის სიმცირეც და მინსკელთა გუნდის ძალაც, მაგრამ მთავარი, ვფიქრობ, მაინც სხვა რამ გახლდათ. თბილისელებმა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იმდენად მძიმე მომენტში გაუშვეს გოლი, რომ გასაკვირი არ იქნებოდა, ფარ–ხმალი დაეყარათ (ყოველ შემთხვევაში, ბევრი ისეთი მატჩის გახსენება შეიძლება, სადაც მსგავს ვითარებაში ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებულ გუნდებსაც კი შეუწყვეტიათ ბრძოლა). კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ამ მომენტის სირთულე?

საკმაოდ უფერულად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ თბილისელები სრულიად შეცვლილნი დაბრუნდნენ გასახდელიდან. შეხვედრის მეორე ნახევარი მათ გაცილებით სწრაფი ტემპით, ენერგიულად დაიწყეს და მეტოქეს, შეიძლება ითქვას, ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს. მართალია, აშკარა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა, მაგრამ თამაშის განახლებიდან 10-12 წუთის მანძილზე სტუმრები საკუთარი საჯარიმო მოედნის მისადგომებთან იყვნენ ჩაკეტილები და კონტრიერიშზე ფიქრი კი არა, ბურთის მოგერიებას ძლივს ასწრებდნენ. თავდამსხმელმა კონდრატიევმა მიატოვა ჩვეული ადგილი და მცველთა დასახმარებლად დაიხია უკან. მხოლოდ გურინოვიჩი იდგა მინდვრის ცენტრალურ წრეში და ამით ორ თბილისელს მაინც აძლევდა შეტევაში მონაწილეობის საშუალებას.

მასპინძელთ ასეთმა თამაშმა მღელვარება შეიტანა მეტოქის რიგებში. ეს დაეტყო მცველებსაც, მეკარესაც. 49–ე წუთზე ჟეკიუს სრულიად მარტივ სიტუაციაში ხელიდან გაუვარდა ბურთი, რომელიც, ცოტაც და, შენგელიას ლუკმა გახდებოდა. ზედიზედ რამოდენიმეჯერ შეცდნენ ჟეკიუს პარტნიორებიც... ერთი სიტყვით, საფეხბურთო ლოგიკა გვკარნახობდა, რომ ანგარიში მალე უნდა გახსნილიყო.

გაიხსნა კიდეც, მაგრამ გოლი მოპირდაპირე კარში გავიდა – ამაზე წერილის დასაწყისში ვისაუბრეთ. გაშვებულმა ბურთმა თბილისელებზე ცივი შხაპივით იმოქმედა. ისინი თითქოს განაგრძობდნენ შეტევას, მაგრამ მათ მოქმედებაში აღარ იგრძნობოდა ის ნაპერწკალი, ურომლისოდაც ძნელია წარმატებაზე ფიქრი.

... მატჩის დამთავრებას ოცი წუთი აკლდა, როცა ნოდარ ახალკაცმა მესხისა და ცაავას ნაცვლად მინდორზე გამოიყვანა ვეტერანები.

31 წლის ჩელებაძე და 32 წლის გაზაევი. სრულად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისელებს სწორედ ამ შეცვლამ მოუტანა გამარჯვება. განსაკუთებით აღსანიშნავია ჩელებაძის ოსტატური თამაში – მან უყოყმანოდ იტვირთა ლიდერის როლი და თანაგუნდელებს თითქოს ახალი ძალები შთაბერა. გაიხსენეთ თუნდაც მისი 50-60 მეტრიანი ზუსტი გადაცემა, რომლითაც გარღვევაზე გაიყვანა გაზაევი (ამ უკანასკნელმა ასევე ზუსტად ჩააწოდა ბურთი ჭედიას – მისი თავური დარტყმა მიზანს ასცდა). ასევე ზუსტი, მახვილგონივრული და დროული იყო ჩელებაძის მოკლე პასებიც. 78-ე წუთზე მან, მეტოქის კარისკენ ზურგით მდგომმა, მიიღო სულაქველიძის გადაცემა და თბილისელთა ნახევარმცველს (პირველ ტაიმში სულაქველიძე ცენტრალური მცველის ფუნქციას ასრულებდა) ოსტატურად დაუბრუნა ბურთი. წონასწორობა აღდგა – 1:1.

გავიდა კიდევ 12 წუთი. თამაშის დამთავრებამდე წამებიღა რჩება. კაკილაშვილი თავისი ნახევრიდან წინ ურტყამს ბურთს, საჯარიმოს მისადგომებთან მას ხვდება ჩელებაძე, საჰაერო ბრძოლას უგებს მცველებს და თვით ზუსტად აწვდის გაზაევს. თბილისელთა ახალი თავდამსხმელი წამის მეათედით ასწრებს მეკარეს. გაისმის მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც. 2:1 – გაიმარჯვეს თბილისელებმა.

გამარჯვება მთელ გუნდს ეკუთვნისო, ხშირად ამბობენ ჟურნალისტები. ამ სიტყვების სისწორეში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ მინსკელებთან მატჩის მოგებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ვეტერანებმა და ეს არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს. სამართლიანობა მოითხოვს ორიოდე სიტყვა ვთქვათ თბილისელთა მეკარეზეც, რომელმაც, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაატარა მთელი შეხვედრა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 75-ე წუთი, როცა გაბელიამ ზედიზედ მოიგერია კონდრატიევისა და ზიგანტოვიჩის უძლიერესი დარტყმები. მასპინძელთა გამარჯვებაში მათი მეკარის დიდი დამსახურებაც არის.

თბილისელების თამაში ჯერ შორს არის სანიმუშოსგან. ხარვეზი და წუნი ჩვენი ფეხბურთელების მოქმედებაში შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი შესამჩნევია,

მაგრამ ის მონდომება და თავდადება, გუშინწინდელ შეხვედრაში რომ დავინახეთ, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი დინამოელები თანდათან დახვეწენ თამაშს, გამოასწორებენ ზოგიერთ ხარვეზს და მაშინ მათი მატჩები ისეთივე სასიამოვნო სანახავი იქნება, როგორიც გუშინდელი შეხვედრის ცალკეული ეპიზოდები იყო.

დავით კაკაბაძე

P.S. გუშინ რედაქციაში გამუდმებით რეკავდა ტელეფონი – ფეხბურთის ქომაგებს აინტერესებდათ, რაზე დაობდნენ მინსკელები გაზაევის გოლის შემდეგ. ბურთი რომ გაუშვა, სტუმართა მეკარე ი. ჟეკიუ მივარდა მატჩის მთავარ მსაჯს ა. კირილოვს და სცადა მისთვის დაემტკიცებინა, რომ თამაშის დრო უკვე ამოწურული იყო. როცა დარწმუნდნენ, რომ შეხვედრის დამთავრებამდე ჯერ კიდევ რჩებოდა რამდენიმე წამი, მინსკელებმა ახლა სხვა პრეტენზია გამოთქვეს – თბილისელებმა ბურთი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს და თანაც, უხეშად ითამაშესო. მინსკის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ მასპინძლებს ვიდეოჩანაწერის ჩვენება მოსთხოვა. ჩანაწერის ნახვის შემდეგ მინსკელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბენიამინ არზამასცევმა თავისი შეცდომა აღიარა, ბოდიში მოუხადა მეტოქე გუნდის ხელმძღვანელებსა და მსაჯთა ბრიგადას. შეხვედრის არბიტრმა ა. კირილოვმა ოქმში შეიტანა მინსკის „დინამოს“ მეკარის ი. ჟეკიუს არასპორტული ქცევის ფაქტი.

ლელო 21.03.1986